№ 183 მთავრობის მოამბე უპარტიო გაზეთი ყოველდღიური გამოცემა

# საქართველოს რესპუბლიკა

ფასი 3 მან. კვირა, აგვისტოს 15 1920 წ.

მთავრობის მოამბე, უპარტიო გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)
საქართველოს რესპუბლიკა
გაზეთი ღირს თვეში 70 მან., ცალკე ნომერი ყველგან 3 მან. განცხადების ფასი 1-ლ გვ. პეტიტის სტრიქ. 8 მან. 4-ზე გვ. 6 მან. სამგლოვიარო განცხ. ჩვეულებრივი ზომის (15—2) 150 მ., განცხ. საბუთების დაკარგვის შესახებ 110 მ. სასამართლ. უწყ. განცხადებანი 40 მ. ნისია განცხ. დაბეჭდვა ღირს ნიხრზე მეტი 20%. რედაქციის და კანტ. მისამართი: ტფ., ბარონის ქ. № 6. ტელეფ. 1—82

## გაგრა

კლიმატიური სადგური თფილი ჰავით სარგებლობის მიზნით სრულიად დახურულია ჩრდილოეთის ქარისაგან.

წლის განმავლობაში საშუალო ტემპერატურა არის $15^1/_2{}^0$ ცელ. სეზონი მთელი წლის განმავლობაში გრძელდება.

სასარგებლოა: სისხლ ნაკრულთათვის, გულის და ფილტვების სისუსტით ავადმყოფთათვის, ძარღვებ აშლილთათვის, ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ მოსაკეთებელთათვის და საერთოდ მოქანცულთათვის.

სუბ-ტროპიკული მცენარეები, პალმები, მანდარინები, ლიმონები, ციტრენები და საუცხოვო მთის ნაკადულების წყალი.

სამაგალითო კანალიზაცია.

მზად არის 2 სასტუმრო 150 ოთახით. შეკეთებაშია 1 სასტუმრო 60 ოთახით. ოთახი ელექტრონის განათებით და მოსამსახურით დღე და ღამეში ღირს 40 მანეთიდან-ზევით; სასტუმროშივე არის ფოსტა-ტელეგრაფი. პირველი ხარისხის სასადილო, საერთაშორისო სამზარეულოს სხვა და სხვა სადი საჭმელებით, საზღვარ გარეთელი და რუსული ღვინოები ზომიერ ფასებში, ექიმები, აფთიაქი, სამაგალითოდ მოწყობილი გამთბარი ზღვის წყალის, მზის სხივების და ელექტრონის ვანები, Души Шарко.

მხატვრული მიდამოები. მთის ჰაერი. თევზაობა. ნადირობა. ვემებით მიმოსვლა.

შეკითხვებით გთხოვთ მიმართოთ გაგრის კლიმატიურ სადგურის გამგეობას გაგრაში.

824 3—1

## საქართველოს რესპუბლიკის ჯანმრთელობის დეპარტამენტი

ამით საყოველთაოდ აცხადებს, რომ მიმდინარე წლის 12 აგვისტოდან არსებული საავთიაქო ნიხრის ხელფასი (Raxa laborum) დროებით გადიდებულია ოთხმოცი პროცენტით (80%). 2205 3—2

## საქართველოს მუზეუმის შენობისთვის.

### საჭიროა:

1. 200 წყვილი ფანჯრის **ანჯამა**, 100 წყვილი იგივე ფანჯრის ზევითა ნაწილისათვის, 100 წყვილი ფანჯრის ზევითა ნაწილის საკეტი, 100 წყვილი კარის **ანჯამა**, 50 წყვილი შეჭრილი ანჯამა.

50 წყვილი კარის სახელური, 40 წყვილი კარის საკეტი, 70 წყვილი ფანჯრის საკეტი. 100 წყვილი ფაჯრის უკანა ჩანგლები. 30 წყვილი სავენტილიაციო ხუფი.

რკინის კოჭები 7" სიგრძე 2.50 საჟ.—2 ცალი იგივე—6" სიგრძით 1.75 საჟ.—8 ცალი იგივე—8" სიგრძით 3.80 საჟ.—1 ცალი.

რკინა $1^1/_2$"—2 სიმაღლით, ხოლო სიგრძით 1,5 საჟ. 44 ცალი.

### ცემენტი 300 კასრა.

მავთული $^1/_4$" $^3/_{16}$—120 ფუთი. მთავარ ბჭის (შემოსავალი კარი) ორი სრული განყოფილება. 25 ფუთი ნაძენძი (პაკლია), შუშა პიზმატიული 2×2 ვ. 400 ც.

წინადადებით მიმართონ საქართველოს მუზეუმის საალმშენებლო კომისიის კანცელარიას (ლორის-მელიქ. ქ. № 10). 826 2—1

## საქართველოს მუზეუმის საალმშენებლო კომისია

ამით აცხადებს, რომ ორშაბათს (აგვისტოს 16) დილის 10 საათისათვის საალმშენებლო კომისიის კანტორაში (ლორის-მელიქის ქ. 10) მოხდება

**შეჯიბრება სამღებრო და წყალსადენის სამუშაოთა შესახებ.**

პირობების შეტყობა შეიძლება კომისიის კანცელარიაში. 826 1—1

## მევენახეთა კოოპერატიული საზ-ბა „კახეთის" გამგეობა

ამით აცხადებს საზოგადოების წევრთა საყურადღებოთ, რომ კვირას, აგვისტოს 22-ს ამა წელს ტფილისში, გოგოლის ქ. № 63 საკუთარი სახლი, დილის 9 საათზე დანიშნულია წევრთა

### საზოგადო კრება.

განსახილველია: 1. ექვსი თვის 1919-20 საოპ. წლ. ანგარიში. 2. გამგეობა საბჭოს მოხსენება. 3. მარნის შეძენა და სარდაფის აშენება კახეთში და 4. მიმდინარე საკითხები.

რადგანაც კრება მეორედ არის დანიშნული, კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

**გამგეობა.**

## ოფიციალური განყოფილება.

## განკარგულებანი

### მიწათ-მოქმედების მინისტრისა.

12 ივნისი, 1920 წ., № 200.

**დანიშნულია:** მუხრანის მამულის მოურავი თ. ე. მეგრელიშვილი ტფილისის სახელმწიფო სარდაფის და საწყობის გამგეთ. 12 ამა ივნისიდან.

**დანიშნულია:** მუხრანის სახელმწიფო მამულის მოურავათ გიორგი ალმასხანის ძე ახალაძე 12 ამა ივნისიდან.

№ 199.

**ინიშნება:** ა. კიაზიმბეკოვი პირველ ხარისხის ტყის გამგის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებლათ.

№ 198.

**გადაყვანილია:** ქვაბლიანის სატყეოს, ტყის გამგის თანამდებობის აღმასრულებელი ი. ტ. ქაშეიშვილი, ქნის სატყეოში სამსახურის სასარგებლოთ.

**ინიშნებიან:** ზ. ი. ლომინაძე და დ. მ. გელაძე მეორე ხარისხის ტყის გამგეთა თანამდებობის აღმასრულებლათ, პირველ ქვაბლიანის და მეორე აბასთუმნის სატყეოში.

10 ივნისი, 1920 წ., № 197.

**გადაყენებულია:** პასუხის გებაში მიცემით გადასახლების განყოფილების აგენტი ალექსანდრე ივანეს ძე კოზმავა ამა წლის 1 ივნისიდან 1920 წლისა.

11 ივნისი 1920 წ. № 196.

**დანიშნულ იქმნან:** ყარაიაზის სახელმწიფო მამულის მოურავათ აგრონომი დავით ივანეს ძე სამადაშვილი ამ მამულის მოურავის თანაშემწეთ პავლე გრიგორის ძე კიკნაძე. ორივე 10 ამა ივნისიდან.

№ 195.

**გადაყვანილია:** 1) წინანდლის სახელმწიფო სარდაფის გამგე მეღვინე ვასილისკი ივანეს ძე ფისაკოვი იმავე თანამდებობაზე ვარცხის სახელმწიფო მამულში.

2) მუკუზნის სახელმწიფო მამულის მეღვინე-მევენახე გრიგორი ალექსის ძე ბაკურაძე წინანდლის სახელმწიფო სარდაფის დროებით გამგეთ.

**დათხოვნილია:** ვარცხის სახელმწიფო სარდაფის მეღვინე ალექსანდრე ივანეს ძე გარსიაშვილი, თანამდებობიდან სამივე 10 ამა თიბათვიდან სალიკვიდაციო ჯილდოს მიცემით.

11 ივნისი, 1920 წ. № 194.

**დათხოვნილია:** სახელმწიფო მამულთა სექციის საქმის მწარმოებელი გ. ელისაბედაშვილი მისი თხოვნის თანახმად ამა წლის ივნისის 1-დან.

9 ივნისი, 1920 წ., № 193.

**ინიშნება:** ნაფიცი ვექილი მიხეილ ნიკოლოზის ძე ჯულელი სამინისტროს საიურისკონსულტო განყოფილებაში იურისკონსულტის თანამდებობაზე 7 ივნისიდან.

10 ივნისი, 1920 წ. № 192.

**ინიშნება:** შინამრეწველობის განყოფილების გამგეთ მიხეილ ვახტანგის ძე მაჩაბელი ამა წლის 10 ივნისიდან.

8 ივნისი, 1920 წ. № 191.

**ინიშნებიან:** მიწათ-მოქმედების სამინისტროს წყალთა სამმართველოში ინჟენერი ივანე სოლომონის ძე მეძმარიაშვილი და დიმიტრი პავლეს ძე ეფიმიადი ამა წლის 1 ივნისიდან.

№ 190.

**დათხოვნილია:** თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან სიმიჯნაო განყოფილების მიწის მზომელი მეძმარიაშვილი 1 ივნისიდან, თანახმად თხოვნისა.

№ 189.

**ინიშნება:** საიჯარო განყოფილების საქმისმწარმოებელი მიხეილ გიორგის ძე ჩუგუნიძე სახელმწიფო საადგილ-მამულო ფონდის გამგე—ინსტრუქტორათ იმავე განყოფილებაში ამა წლის 1 ივნისიდან.

7 ივნისი, 1920 წ., № 188.

**დაევალოს:** სოფლის მეურნეობის მავნებელთა წინააღმდეგ მებრძოლ ბიუროს სპეციალისტ-მიკოლოგს პ. ი. ნაგორნის ხსენებულ ბიუროს გამგის თანამდებობის დროებით აღსრულება ამა წლის ივნისის 1 დან.

№ 187.

**გადარიცხულ არიან:** მანქანით გადამწერნი ქეთევან აბესაძე (ფედოროვისა) და ნინო მენაბდე სახელმწიფო მამულთა განყოფილებაში. ამა წლის ივნისის 1-დან.

№ 187.

**ინიშნება:** სამინისტროს სამიჯნაო განყოფილებაში მიწის მზომლის თანაშემწის თანამდებობაზე შტატს გარეშე პავლე იაკიმეს ძე ფედოტოვი ამა წლის 1 ივნისიდან.

4 ივნისი, 1920 წ., № 185.

**ინიშნება:** სამინისტროს სამიჯნაო განყოფილებაში მიწის მზომლათ გიორგი პანტელეიმონის ძე მუნტიანი ამა წლის 1 ივნისიდან.

№ 184.

**დათხოვნილია:** თანამდებობიდან და სრულიად სამსახურიდან: სახელმწიფო მამულთა სექციის გამგე ა. მ. ორბელიანი, თანახმად თხოვნისა ამა წლის 1 ივნისიდან.

5 ივნისი, 1920 წ. № 183.

**ინიშნება:** აგრარულ რეფორმათა განყოფილებაში კონტროლიორ - ინსტრუქტორის თანამდებობაზე მირიან მიხეილის ძე ხუხუნაიშვილი ამა წლის 1-ლ ივნისიდან.

3 ივნისი, 1920 წ., № 182.

**ინიშნება:** აგრარულ რეფორმათა განყოფილების მდივანი იაკობ ზაქარიას ძე ყორღანოვი ინსტრუქტორ-კონტროლიორის თანამდებობაზე იმავე განყოფილებაში 1-ლ ივნისიდან.

მიწათ-მოქმედების მინისტრი

**ნ. ხომერიკი.**

—

### საქციზო სამმართველოს უფროსისა.

29 ივლისი, 1920 წ., № 27.

**შვებულება მიეცა.** სამსახურიდან ერთი თვის ვადით ჯამაგირის შენახვით პირველ მარიამობისთვიდან პირველ ენკენისთვემდინ 1920 წ. სააქციზო სამმართველოს საქმის მწარმოებლის თანაშემწეს ელპიდე ანტონის ასული ყიფიანს.

30 ივლისი, 1920 წ., № 28.

**შვებულება მიეცა:** სამსახურიდან ერთი თვის ვადით პირველ აგვისტოდან პირველ სექტემბრამდინ 1920 წ. ტფილისის თამბაქოს ქარხნის კონტროლიორს ვალენტინ გიორგის ძე კოლიევს.

№ 29.

**დათხოვნილია:** სამსახურიდან და სრულიად განთავისუფლებული თანამდებობიდან თანახმად თხოვნისა პირველ აგვისტოდან 1920 წ. ნავთის მოანგარიშე ვიქტორ სოლომონის ძე გრიგოლაშვილი.

30.

**შვებულება მიეცა:** სამსახურიდან ორი კვირის ვადით ჯამაგირის შენახვით პირველ მარიამობისთვიდან 15 მარიამობისთვემდის 1920 წ. სააქციზო სამმართველოს სასამართლოს განყოფილების საქმის მწარმოებლის თანაშემწეს თამარა გაბრიელის ასულს გერასიმოვისას.

№ 31.

**შვებულება მიეცა:** სამსახურიდ ან ავათმყოფობის გამო ერთი თვის ვადით ხუთ აგვისტოდან 1920 წ. ხუთ ენკენისთვემდინ ჯამაგირის შენახვით აქციზის კონტროლიორს ივანე ფელიქსის ძე პოტემკოვსკის.

31 ივლისი, 1920 წ., № 32.

**დაინიშნა:** დროებით სამ ივლისიდან

1920 წ. კონსტანტინე გიორგის ძე ვეზირიშვილი ქ. ტფილისში თამბაქოს ქარხნის კონტროლიორის თანამდებობის აღმასრულებლად.

4 მარიამობისთვე, 1920 წ., № 33.

**დატოვებულნი არიან:** დროებით პირველ მარიამობისთვიდან 1920 წ. მოწვეულნი ერთი თვით 1-ლ ივლისიდან: 1) მბეჭდავი მანქანაზე სამუშაოთ თამარა დიმიტრის ასული ტატიშვილი; 2) თამბაქოს ქარხნის კონტროლიორის თ. აღ. ილია ანტონის ძე ლოლობერიძე და 3) სამ ივლისიდან 1-ლ მარიამობისთვემდე ბუღალტერიაში საქმის მწარმოებლის თანაშემწის ჯამაგირის მიცემით ზაქარია ნიკოლოზის ძე პოპიაშვილი.

№ 34.

**დანიშნულნი არიან:** ა) სპირტის ნაწარმოების ქარხნის კონტროლიორებად ბათომში 24 ივლისიდან 1920 წ. 1) იოსებ ტარიელის ძე ძიძიშვილი და 2) პროკოფი მოსეს ძე ნიქაბაძე; ბ) თამბაქოს ქარხნის კონტროლიორებად ბათომში 12 ივლისიდგან 1920 წ. 3) ვარლამ შამანდელეს ძე ერისთავი, 4) ივანე ბეჟანის ძე ბაქრაძე და 5) ვასილ გიორგის ძე სალინოვი 15 ივლისიდან 31 ივლისამდე; გ) დამხედველებად: 15 ივლისიდან 7) სულეიმან შაქარაშვილი და 8) ბორის თავართქილაძე და 1-ლ მარიამობისთვიდან 1920 წ. 9) ნიკოლოზ სერგის ძე დათუნაიშვილი; 10) დ) მბეჭდავ მანქანაზე გადამწერად 26 ივლიპიდან 1920 წ. ნინო ილიას ასული ბახტაძე ბათომის აქციზის ინსპექტორის კანცელარიაში.

სააქციზო სამმართველოს უფროსის

**ხპ. ბაქრაძე.**

—

**იუსტიციის მინისტრისა.**

11 აგვისტო, 1920 წ. № 308.

**დაინიშნოს:** ლაგოდეხის უბნის გამომძებლის თანამდებობის აღმასრულებლად სამხედრო სამოსამართლო უფლებათა კანდიდატი ვლადიმერ სვიმონიშვილი ამა წლის აგვისტოს 11-დან.

№ 309.

თანახმად რესპუბლიკის მთავრობის ამა წლის აპრილის 8-ს დადგენილებისა დაინიშნოს ტფილისის სასამართლო პალატის სამოსამართლო უფლებათა უმცროსს კანდიდატად ვასილ ისიდორეს ძე დოლიძე ამა წლის აგვისტოს 12-დან იმ პირობით, რომ მას ევალება ½ წლის განმავლობაში ჩააბაროს სათანადო გამოცდა გამომცდელ კომისიაში.

იუსტიციის მინისტრი **რ. არსენიძე.**

## არა ოფიციალური განყოფილება

# მთავრობაში

**სასურსათო მაღაზია ახალციხეში**

მთავრობამ მიიღო სამხედრო მინისტრის პროექტი ახალციხეში მუდმივ სასურსათო მაღაზიის დაარსების შესახებ. დადგენილია: წარედგინოს დამფუძნებელ კრებას სათანადო დეკრეტი და შტატი ხარჯთაღრიცხვით.

**სამტრედიის რაიონი**

მთავრობამ დაადგინა მიაწეროს სამტრედიას სოფელი ახალ-სოფელი.

**დახმარება მოსკოვის სამხატვრო თეატრს**

თანახმად გარეშე საქმეთა მინისტრის მოხსენებისა მთავრობამ დაადგინა: მიენდოს გარეშე საქმეთა და სახალხო განათლების მინისტრებს აღმოუჩინონ მოსკოვის სამხ. თეატრს სათანადო დახმარება.

**პენსიის საკითხი**

მთავრობამ მოიწონა დეკრეტი მუშათა მოსამსახურეთა და დავრდომილთათვის პენსიის რაოდენობის შეცვლის შესახებ. ამ დეკრეტის დამფუძნებელ კრებაში წარდგენა დაევალა შრომის სამინისტროს.

**სალიკვიდაციო ჯილდო მოხელეებს**

მთავრობამ დაადგინა ფინანსთა სამინისტროს შტატს გარეშე დარჩენილ მოხელეებს სალიკვიდაციო ფული 10 მილიონიან ფონდიდან მიეცეს.

**გადასახადი ჩაიზე**

მთავრობამ დაადგინა: დაევალოს ფინანსთა, მიწად-მოქმედების და შრომის მინისტრებს შეიმუშაონ პროექტი: ადგილობრივ და შემოტანილ ჩაიზე სააქციზო გადასახადის შესახებ.

**ქარხანა-ფაბრიკების გადაცემა.**

გადაწყდა ვაჭრობა-მრეწვ. სამინისტროს გადაეცეს საქციონერო საზოგადოება „შრომისაგან“ იძულებით ჩართმეული ქარხანა ფაბრიკები.

**დღიური მოწმეებს**

მთავრობამ დაადგინა მიეცეს წინადადება ფინანსთა სამინისტროსა და სახელმწიფო კონტროლს წარმოადგინონ თავისი დასკვნა მოწმეთათვის დღიურის მიცემისა და არა საპატიო მიზეზის გამო გამოუცხადებლობისათვის ჯარიმის გადადების შესახებ.

# დამფუძნებელი კრება

**11 აგვისტოს სხდომა**

თავმჯდომარეობს **ალ. ლომთათიძე.**

გრძელდება შრომის ხელშეკრულობის მუხლობრივი განხილვა. არის შესწორებები ერ. დემოკრატიული და სოც. დემოკრატიული ფრაქციისა. ერ. დემოკრატების შესწორებები უარყოფილ იქნა, სოც. დემოკრატების მიღებული. საერთოდ მიღებულ იქნა შრომის ხელშეკრულება.

**დ. ონიაშვილის** მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი—ბათომის ოლქის სახელმწიფო დაწესებულებათა შესანახად 17848234 მან. გადადებისა.

**მ. რუხიას** მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი ქ. სიღნაღის თვითმართველობისათვის 2 მილიონ მან. სესხის მიცემის შესახებ.

**მ. რუხიას** მოხსენებით მიღებულ იქნა ქ. ონის თვითმართველობისათვის 3 მილიონ მ. სესხის მიცემის შესახებ.

**გრ. გიორგაძის** მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი ჯარისა და ფლოტის სათადარიგო ჯარის კაცთა საალრიცხვო დავთრების დასამზადებლად 1500000 მან. გადადების შესახებ.

**პ. წულაიას** მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი სახაზინო რკინის გზის დამატებითი მილიციის მოქმედების განგრძობა.

**გრ. გიორგაძის** მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი საზომ-საწონთა შემოწმების ვადის შეცვლისა.

**ივ. გომართელის** მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი ძველი სახუროთმოძღვრო ძეგლების შეკეთება დაცვისათვის 2 მილიონ მ. გადადებისა,

**ივ. ლორთქიფანიძის** მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი სენაკის მაზრის ერობისათვის 480000 მან. სესხის მიცემისა სამელორაციო საჭიროებისათვის.

**დ. ნათაძის** მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი—გორის მაზრის სკოლების აღსადგენათ 20 მილიონ მან. გადადებისა.

**ხ. ჯაფარიძის** მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი—ყალბი ქაღალდების დამზადების დანაშაულობისათვის პასუხისგების გაძლიერებისა.

**მისივე** მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი—სამხედრო უწყების შტატების დამატებისა და ცვლილების კანონის ძალაში შესვლის დროის განსაღვრისა.

**მ. რუხიას** მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი ნატურალური საგზაო ბეგარის შესახებ.

**გ. ცისკარიშვილის** მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი—გულეკარის თემის გამოყოფისა და ქუთაისის მაზრაზედ მოწერისა.

**13 აგვისტოს სხდომა.**

თავმჯდომარეობს **ალ. ლომთათიძე.**

**ქრისტინე შარაშიძის ასულის** მოხსენებით მიღებულ იქნა საბოლოო ტექსტი შემდეგი დეკრეტებისა: 1) ბათომის ოლქის სახელმწიფო დაწესებულებათა შესანახათ 178434,234 მან. გადადებისა, 2) ქალ. სიღნაღის თვითმართველობისათვის 2 მილ. მან. სესხის მიცემისა, 3) ქ. ონის თვითმართველობისათვის 3 მილიონ მან. სესხის მიცემისა, 4) ჯარისა და გვარდიის სათადარიგო ჯარის-კაცთა საალრიცხვო დავთრების დასამზადებლათ 1500000 მან. გადადებისა, 5) სახაზინო რკინის გზის დამატებითი მილიციის მოქმედების განგრძობისა, 6) საზომ-საწონთა შემოწმების ვადის შეცვლისა. 7) ძველი სახუროთმოძღვრო ძეგლების შეკეთება—დაცვისათვის 2 მილიონ მან. გადადებისა, 8) სენაკის მაზრის ერობისათვის 380 ათასი მან. სესხად მიცემისა სამელორაციო საჭიროებისათვის, 9) გორის მაზრის სკოლების აღსადგენათ 20 მილიონ მან. გადადებისა, 10) ყალბი საკრედიტო ბარათების დამზადების დანაშაულობისათვის პასუხისგების გაძლიერებისა, 11) სამხედრო უწყების შტატის დამატებისა და ცვლილების კანონის ძალაში შესვლის დროის განსაზღვრისა, 12) გულეიკარის თემის გამოყოფისა და ქუთაისის მაზრაზე მიწერისა.

**ივ. გომართლის** მოხსენებით მუხლობრივი განხილვის შემდეგ მიღებულ იქნა კანონ-პროექტი: ახალ-ქალაქის მაზრის სოფ. ბარალეთისა, ოკამისა და გარელოვკას ამბულატორიების შტატის და ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცების შესახებ.

**ნ. ნათაძის** მოხსენებით მეორეთ განხილულ და მიღებულ იქნა კანონ-პროექტი სასოფლო მეურნეობის საშუალო და დაბალ განათლების ორგანიზაციის შესახებ.

**ივ. გომართელის** მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი—სურამის ფსიქიატორიულ ახალშენის ჯამრთელობის დეპარტამენტისათვის გადაცემისა.

**გრ. გიორგაძის** მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი—საქართველოს სახელმწიფო ბანკის ძირითადი თანხის გადიდებისა.

**ივ. გომართლის** მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი ეპიდემიასთან საბრძოლველათ 30 მილიონ მან. გადადების შესახებ.

**ი. ფირცხალაიშვილის** მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი ადერბეიჯანში მუშათა და გლეხთა დელეგაციის გასაგზავნათ 2 მილიონ მან. გადადებისა.

**მ. რუხიას** მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი ქ. ტფილისის თვითმართველობისათვის 40 მილ. მან. სესხის მიცემისა სასურსათო განყოფილების გასაფართოვებლათ.

**მ. რუხიას** მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი ქ. ხონის თვითმართველობისათვის 3 მილიონ მან. სესხის მიცემისა ჰიდრო ელექტრონის სადგურის ასაშენებლათ.

**გრ. გიორგაძის** მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი ქ. ქუთაისის თვითმართველობისათვის 10 მილიონ მან. სესხის მიცემისა.

შემდეგ წაკითხულ იქნა განცხადება სოც. დემ. ფრაქციის ბიუროსი, რომ ი. ელიგულაშვილი დაინიშნა საქართველოს ეკონომიურ აგენტად როტერდამში და საფრანგეთში და ვინაიდან ეს თანამდებობა შეუთავსებელია დამფ. კრების წევრობასთან, ის განთავისუფლებულ იქნას დამფ. კრების წევრობისაგინ, მისი ადგილი დაიჭიროს ანნა სოლოღაშვილის ასულმა. ეს განცხადება მიღებულ იქნა.

# რუსულ-ქართული კომისია სამხედრო გარანტიების შესახებ

რუსულ-ქართულმა შერეულმა კომისიამ სამხედრო გარანტიების შესახებ მერვე და მეცხრე სხდომაზე განიხილა რეზოლიუციის ის პროექტები, რომელიც წამოაყენა ორივე მხარემ საქართველოს და რუსეთის შორის დადებულ ხელშეკრულების მეხუთე მუხლის შესახებ. ქართულ კომისიის თავმჯდომარე ს. მდივანი სადავო საკითხის შესახებ, რომელიც ეხებოდა მაისის 7-მდე სხვა და სხვა დროს საქართველოს განკარგულებაში გადმოსულ მოხალისეთა სამხედრო და საზღვაო ქონებას, ამტკიცებდა, რომ საქართველოს დელეგაციის აზრით მაისის 7 ხელშეკრულება გარკვევით სწყვეტს იმ სამხედრო ქონების საკითხს, რომელიც გადმოვიდა საქართველოს განკარგულებაში, როგორც ხელშეკრულების დადებამდე, ისე ხელშეკრულების დადების შემდეგ. მაგრამ იმ ფაქტის გამოსარკვევად, რომ ეს სამხედრო ქონება მართლა ეკუთვნის საქართველოს, როგორც ნადავლი, თუ არა, უნდა განვიხილოთ აგრეთვე საკითხი საქართველოს ფაქტიურ მდგომარეობის შესახებ მოხალისეებთან ბრძოლაში, ვინაიდან, თუ დამტკიცდება, რომ პერმანენტური ომი არ ყოფილა, მაშინ, ცხადია, რომ სამხედრო ქონების საკითხის გადაწყვეტის დროს უნდა ვიხელმძღვანელოთ საერთაშორისო უფლების ნორმებით იმ შემთხვევაში, თუ ეს საკითხი მაისის 7 ხელშეკრულებაში არ ყოფილა განსაზღვრული. ეყრდნობა რა ამ მოსაზრებებს საქართველოს დელეგაცია წინადადებას იძლევა მიიღონ შემდეგი დებულებანი: 1) თანახმად იმ პრინციპებისა, რომლებიც საერთაშორისო უფლებიდან გამომდინარეობს საქართველოს ხელში მყოფი მოხალისეთა მთელი სამხედრო და სამხედრო-საზღვაო ქონება, უნდა გადაცემოდა რუსეთის საბჭოთა მთავრობას იმ შემთხვევაში, მოხალისეთა მიმართ საქართველოს ფაქტიური ნეიტრალიტეტი რომ დაეცვა და რომ მაისის 7 ხელშეკრულობაში ეს არ ყოფილიყო განსაზღვრული, 2) ხელშეკრულობის მეხუთე მუხლი ავალებს საქართველოს გადასცეს რუსეთის საბჭოთა მთავრობას მხოლოდ ის ქონება, რომელიც ჩამოერთმევა იმ ჯგუფებს და ორგანიზაციებს, რომლებიც ხელშეკრულობის დროს განუიარაღებულნი და დაუკავებულნი აღმოჩნდებიან, 3) საქართველო მოხალისეთა ჯართან პერმანენტულ ომს აწარმოებდა. ამ ომის დროს ჩამოართვა საქართველომ მოხალისეთა ჯარს სამხედრო ქონება და ამიტომ იგი საქართველოსთვის სამხედრო ნადავლს წარმოადგენს. საქართველოს დელეგაცია ფიქრობს, რომ მოხალისეთა ქონება და ფულის ნიშნები, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე მაისის 7-მდე იყო საბჭოთა რუსეთს არ უნდა გადაეცეს. რუსეთის დელეგაციის თავმჯდომარე ლ. რუზერი არ დაეთანხმა საქართველოს დელეგაციის მოსაზრებას და აღნიშნა, რომ საჭიროა დასახელება იმ მომენტისა, როდესაც ფაქტიურად არ იყო არც ომი და არც ნეიტრალიტეტი, არამედ იყო რაღაც მესამე, რასაც საერთაშორისო უფლების თვალსაზრისით არ შეიძლება დაერქვას არც ზავი, არც ომი და არც ნეიტრალიტეტი, ამიტომ რუსეთის დელეგაცია დაჟინებით მოითხოვს ამ მესამე მომენტის აღნიშვნას იმ მიზნით, რომ მას დაუკავშიროთ მაისის 7 ხელშეკრულებით გაუთვალისწინებელი ყოველი შემთხვევა. შეეხო რა ამ თვალსაზრისით სამხედრო ქონების საკითხს რუსეთის დელეგაციამ შემდეგი დებულებანი წამოაყენა: 1) მაისის 7 ხელშეკრულების მეხუთე მუხლი საქართველოს რესპუბლიკას ავალდებულებს გადასცეს რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკას ყველა ის სამხედრო და სამხედრო-საზღვაო ქონება, რომელსაც ჩამოართმევენ იმ ჯგუფებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც ხელშეკრულების დადების დროს და მის შემდეგ არ განუიარაღებიათ და არ დაუკავებიათ. 2) საერთაშორისო უფლებისაგან გამომდინარე პრინციპის ძალით მოხალისეთა მთელი სამხედრო და სამხედრო-საზღვაო ქონება, რომელიც ჩაიბარა საქართველომ, იმ შემთხვევაში იქნებოდა საბჭოთა რუსეთის მოხალისეთა მიმართ რესპუბლიკასათვის გადასაცემი, რომ საქართველოს მოხალისეთა მიმართ დაეცვა ფაქტიურად სრული ნეიტრალიტეტი და რომ მაისის 7 ხელშეკრულებაში ზემოაღნიშნული საკითხი არ ყოფილიყო განსაზღვრული. 3) თუ დამტკიცდებოდა რომ საქართველო მოხალისეებთა პერმანენტურ ომის განწყობილობაში იყო, მაშინ საქართველოს ხელში დაგროვილი მოხალისეთა მთელის ქონება დარჩებოდა საქართველოს, როგორ სამხედრო ნადავლი. 4) თუ არ დამტკიცდება, რომ საქართველო ასეთ დამოკიდებულებაში იყო მოხალისეებთან, მაშინ საქართველოს გამგებლობაში დარჩენილი მოხალისეთა ქონების ის ნაწილი, რომელიც მიიღო საქართველომ თავის ნეიტრალიტეტის დაცვისათვის ბრძოლის დროს, როგორც სამხედრო ნადავლი შეიძლება დარჩეს მასვე, თუმცა საერთაშორისო უფლების ნორმები სრულებით არ გულისხმობს, რომ სახელმწიფოს, რომელიც თავის ნეიტრალიტეტს შეიარაღებული ძალით იცავს მებრძოლ სახელმწიფოსაგან, სრულ საკუთრებათ დარჩეს ამ სახელმწიფოსაგან ჩამორთმეული ქონება. 5) ყველა ზემოდ მოყვანილ მოსაზრებით რუსეთის დელეგაციას საჭიროდ მიაჩნია შერეულ კომისიამ გამოიკვლიოს მართლა იყო, თუ არა საქართველო პერმანენტულ ომის დამოკიდებულებაში მოხალისეებთან, თუ იგი შეიარაღებულ ძალით ნეიტრალიტეტს იცავდა. შემდეგი კამათიდან გამოირკვა, რომ ორივე მხარე მზათ არის წავიდეს დათმობაზე. დასასრულ შემდეგი რეზოლიუცია მიიღეს: „შერეულმა რუსულ-ქართულმა კომისიამ სამხედრო გარანტიების შესახებ შემდეგი დებულებები მიიღო: მაისი 7 ხელშეკრულობის მეხუთე მუხლი ვალდებულად ხდის საქართველოს გადასცეს საბჭოთა რუსეთს მხოლოდ ის სამხედრო და სამხედრო-საზღვაო ქონება, რომელსაც ჩამოართმევენ იმ ჯგუფებს და ორგანიზაციებს, რომლებიც ხელშეკრულობის დადების დროს არ იქნენ განიარაღებულნი და დაკავებულნი, 2) თანახმად იმ პრინციპებისა, რომლებიც გამომდინარეობს საერთაშორისო უფლების ზოგად ნორმებიდან მოხალისეთა ჯარის მთელი სამხედრო და სამხედრო-საზღვაო ქონება, რომელიც საქართველოს რესპუბლიკის განკარგულებაში არის, მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა გადასცემოდა რუსეთის საბჭოთა მთავრობას, საქართველოს რომ სრული ფაქტიური ნეიტრალიტეტი დაეცვა და ზემოაღნიშნული საკითხი რომ გარკვეულად აღნიშნული არ ყოფილიყო მაისის 7 ხელშეკრულობაში. 3) ამასთანავე თუ დამტკიცდება, რომ საქართველო მოხალისეთა ჯართან პერმანენტულ ომს აწარმოებდა, იმ შემთხვევაში მთელი სამხედრო ქონება, რომელიც საქართველოს ხელში გადავიდა ჩაითვლება ამ რესპუბლიკის სამხედრო ნადავლად და 4) იმ შემთხვევაში, თუ არ იქნა დამტკიცებული სრული ნეიტ-

რალიტეტი და პერმანენტული ომი, რომლებიც უარყოფს მე-2 და მე-3 პუნქტების სავსებით მიღებას, საქართველოს გამგებლობაში დატოვება მოხალისეთა იმ სამხედრო ქონებისა, რომელიც საქართველომ თავის შეიარაღებულ ნეიტრალიტეტის დაცვის დროს ხელთ იგდო როგორც სამხედრო ნადავლი, დღევანდელ პირობებში სრულიად დასაშვებია, თუმცა საერთაშორისო უფლების ნორმებში ამის შესახებ არავითარი ჩვენება არ არის. თანახმად ზემოთმოყვანილ მუხლებისა, კომისია სასურველად სცნობს განიხილოს ის დამოკიდებულება, რომელიც არსებობდა საქართველოსა და მოხალისეთა ჯარის სარდლობის შორის.

# უცხოეთი

**(საინფორმაციო ბიუროს ცნობები)**

**ბერლინი.** ივლისის 28. „ფორვერტსი" იუწყება, რომ გერმანიასა და ლიტვას შორის კომერციული ხასიათის დროებითი ხელშეკრულება დაიდვაო.

**ხტამბოლი.** აგვისტოს 5. საბერძნეთის ჯარების მთავარ სარდალმა ოფიცialურად შემდეგი განაცხადა: „ქემალისტები თავს იყრიან ბრუსის ამოსავლეთით, დამაკიან-ბამასულთანის რაიონში. ბრუსის რაიონში მყოფმა საბერძნეთის ჯარების სარდალმა, როდესაც ეს გაიგო შეუტია მათ და სრულებით გაანადგურა.

**ჟენევა.** აგვისტოს 2. ჟენევაში გაიხსნა საათებისა და ძვირფასეულობის საერთაშორისო გამოფენა. პრესა აღნიშნავს, რომ შვეიცარიაში საათების წარმოებამ ამ ბოლო დროს შესამჩნევ გაუმჯობესობას მიაღწიაო. გამოფენაზე არის 2 ნახ. მილიმეტრის სისქე საათები, ე. ი. ქაღალდის სისქე გამოფენილია აგრეთვე შესანიშნავ ხელოსანთა მიერ გაკეთებული საათები.

**რუმინეთი და რუსეთი**

„ვოსკრესნი ჟურნალი" იუწყება, საბჭოთა მთავრობამ წინადადებით მიმართა რუმინეთს ეუწყებია მისთვის ხელშეკრულების პირობები, რუმინეთის მთავრობამ იმაზე უპასუხა, რომ საკითხი კონფერენციაზე უნდა გადასწყდესო.

**ინგლისის იმპორტი**

სავაჭრო პალატის ცნობების თანახმად 1920 წ. ივლისში ინგლისის იმპორტმა 163,000,000 მიაღწია და ამგვარად წარსულ ივლისთან შედარებით 10 მილიონით გაიზარდა, ინგლისის საგარეო ვაჭრობამ კი მიაღწია 137 მილიონს ე. ი. 1919 წლ. ივლისთან შედარებით 73 მილიონით გაიზარდა.

**ბირჟა**

პარიზი—50 225. ბრიუსელი 47.10.72.675. ბერლინი $163^1/_2$.

**მოლაპარაკება მინსკში**

დიპლომატიური წრეები და საზოგადოება დიდ ყურადღებას აქცევს მინსკის მოლაპარაკებას. იმედი აქვთ, რომ თუ ეს მოლაპარაკებას სასურველად დასრულდა, მაშინ გადავლენ ლონდონის კონფერენციის მოწვევის საკითხზე, რომელსაც დაესწრება რუსეთისა და ბალტიის სახელმწიფოების წარმომადგენელები.

**მილიუტინის მისია**

ევენინგ „სტანდარტი" იუწყება: მილიუტინი და რუსეთის მეორე დელეგატი ჩქარი მმუსრავით აგვისტოს 10 ღამით სტოკჰოლმს გაემგზავრებიან. იქიდან მილიუტინი რეველს ჩავა და შემდეგ მოსკოვში ჰაეროპლანით გადაფრინდება. რუსეთ-პოლონეთის საკითხსა და მასთან მოკავშირეების დამოკიდებულების შესახებ მილიუტინს თან მიაქვს კრასინისა და კამენევის საყურადღებო განცხადებანიო.

**ელინთა მისიის ცნობები**

კირკილსის და მიდიის ოკუპაცია დასრულდა. მთელ აღმოსავლეთ ფრაკიაში და აგრეთვე ფრაკიის სანაპიროებში საბერძნეთის მართვა გამგეობაა.

საბერძნეთის და ინგლისის კაპიტალისტთა ჯგუფი სალამისის კუნძულზე შეუდგა დიდ ნავსაშენების აშენებას.

„დეილი ექსპრესის" ცნობით საბერძნეთის მიერ დაკავებულ ბრუსის მიდამოს პანდერმის დ. სხვ. მცხოვრებლები ითხოვენ, რომ ისინი კვლავ ოსმალებს აღარ დაუბრუნონ.

„ალენდარი" საზავო ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის შესახებ სწერს: 900 წლის განმავლობაში ოსმალეთს ასეთს ისეთი უბედურება არ უნახავს. ყოფილი მართველები ენვერი, თალაათი, ქემალი და კარა ახმეტი სახელმწიფოს სცარცავდენ გამუდმებით. მიუხედავად ყოველივე იმისა დროებით ზავის შემდეგ კიდევ დარჩა ქონება, რომელიც მიეცათ ამ ყაჩაღებს საცარცვავად. ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის დღე სამგლოვიარო დღე იქნება ოსმალეთისათვისო.

დიდ ვიზირს ხანგრძლივი მოლაპარაკება ქონდა გენ. ზეკსა და პერტევ ფაშებთან ხელშეკრულების სამხედრო ნაწილის ცხოვრებაში გატარების შესახებ.

ადრიანოპოლის და ათინას შორის რკინის გზით მიმოსვლა აღდგენილია.

„პეიამ საბასი" სწერს: ოსმალეთის მტრები მოელოდებიან მის განდევნას სტამბოლიდან. ამტკიცებენ, რომ ოსმალეთს არ შეუძლია ხელშეკრულების შესრულებით ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად საჭიროა ძველი შეურაცხყოფის დავიწყება. განზე უნდა იქნას გადადებული ეროვნული ამაყობაც და შეუდგეთ ძველი დანაშაულობის გამოსწორებას უნდა შევეგუოთ ცხოვრების ახალ მოთხოვნილებებს. ახალგაზრდა თურქთა წასვლის შემდეგ ადმინისტრაცია ისევ ძველი დარჩა კვლავ ცარცვა გლეჯა და კვლავ ქრთამებს იღებენო.

**მოსკოვი.** ივლისის 16. „იზვესტია" იტყობინება, რომ გერმანიის ბურჟუაზიულ წრეებში ისეთი შთაბეჭდილება შეიქნა, თითქოს ანტანტა ხელს იღებს გერმანიის მიმართ ძალადობის პოლიტიკის წარმოებაზეო. გერმანიის სამხედრო მინისტრმა გესლერმა განაცხადა, რომ ახალმა პირობებმა ბევრად უფრო გააუმჯობესა გერმანიის მდგომარეობა. ეს იმას ნიშნავს, რომ ანტანტას ეშინია გერმანიის მეტის-მეტად დასუსტების. ამის მიზეზია აღმოსავლეთში შექმნილი მდგომარეობა

**მოსკოვი.** ივლისის 16. „იზვესტია" იუწყება: წითელ ჯარში დეზერტირობა გავრცელდაო. დეზერტირობასთან მებრძოლთა კომისიამ ამ უკანასკნელ ნახევარი წლის განმავლობაში მხოლოდ ერთ დანკევში 395 მესაკუთრეს ჩამოართვა ქონება. ჩამოართვეს ცხენები, ძროხები, ცხვრები და სახნისები.

**ლონდონი.** აგვისტოს 5. „დეილი ტელეგრაფი" იუწყება: სომხეთის წარმომადგენელის ხატისიანის მიღების დროს ლორდ კერზონმა განაცხადა; საჭიროა სომხეთის და საქართველოს დაცვა წითლებისაგანაო. ამასთანავე გაზეთი სწერს: „ბოლშევიზმს არ შეუძლია დაიტრაბახოს თავის გამარჯვებით ამიერ-კავკასიაში. ამიერ-კავკასიის ერები მოსკოვის მთავრობის დამორჩილებაზე უარს ამბობენო.

# ახალი ამბები

✦ **თავდაცვის საბჭოში.** თავდაცვის საბჭომ თავის უკანასკნელ სხდომაზე განიხილა მთავარ სარდლის მოხსენება ფრონტზე მდგომარეობის შესახეს. მოხსენების შესახებ მსჯელობის შემდეგ დაადგინეს: ყველა წითელ არმიელი დეზერტირი, რომელიც გადმოდის ჩვენს მხარეზე გადაეცეს შინაგან საქმეთა სამინისტროს.

✦ **საკურორტო საქმე.** მიწად-მოქმედების სამინისტროსთან შემდგარმა საკურორტო კომისიამ გამოიკვლია საქართველოს სხვა და სხვა მნიშვნელოვანი სამკურნალო და საკურორტო ადგილები. კომისია ტფილისს დაბრუნდა და აგვისტოს 12 ისევ გაემგზავრა ბორჯომს და ახალციხე-აბასთუმანის რაიონებში ასეთისავე გამოკვლევათა მოსახდენათ.

✦ **ე. პ. გეგეჭკორის გამგზავრება.** საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ე. პ. გეგეჭკორი აგვისტოს 18 ევროპას მიდის, მინისტრს თან ეხლება 2 მდივანი. ბათომიდან ე. პ. გეგეჭკორი ინგლისის სამხედრო გემით სტამბოლისაკენ გაემგზავრება.

✦ **ტფილისის პოლიტეხნიკური სასწავლებელი** იღებს თხოვნებს სამექანიკო-წმინდა სამექანიკო და ელექტრო-მექანიკურ და საამშენებლო-გზათა საამშენებლო და სახუროთმოძღვრო განყოფილებებზე. თხოვნასთან ერთად წარმოდგენილი უნდა იქნეს: 1) 4 კლასის ატესტატი, 2) მეტრიკული მოწმობა, 3) მოწმობა სამხედრო ბეგარასთან დამოკიდებულების შესახებ.—თხოვნები მიიღება პირველ სექტემბრამდე. მისამართი: დიდი მთავრის ქუჩა, № 70.

✦ **საქართველოდან გასვლისა და რუსეთიდან შემოსვლის პირობები.** საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი და რუსეთის დიპლომატიურმა წარმომადგენელმა შეიმუშავეს დროებითი წესები ლტოლვილების, შიკრიკების და წარმომადგენელთა რუსეთში გასვლისა და საქართველოში შემოსვლის ნებართვის მიცემის შესახებ. ამ წესების მიხედვით, რუსეთის ყოველ მოქალაქეს, რომელსაც სურს საქართველოსკენ წამოსვლა და საქართველოს მოქალაქეს, რომელსაც სურს რუსეთში გასვლა, უფლება აქვთ დაუბრკოლებლივ უკან დაბრუნების. ამისათვის საჭიროა ამ პირთ სათანადო მოწმობები ქონდეთ. აკრძალული იქნება იმ პირთა გაშვება, რომელთა შესახებაც იმ სახელმწიფოთა სასამართლო, ან ადმინისტაცია ახდენს გამოძიებას, რომელ სახელმწიფოშიც მათ შესვლა სურთ. ლტოლვილთ უფლება აქვთ საქართველოსა და რუსეთში შესვლისა მხოლოდ განსაკუთრებულ ნებართვით, რომელსაც ორივე მხარე ურთიერთ შეთანხმებით მისცემს. თანამდებობის პირთ გაუშვებენ ამა თუ იმ რესპუბლიკის მთავრობის ნებართვით და შიკრიკებს კი სათანადო პიროვნულ მოწმობების წარმოდგენის შემდეგ.

# † მფრინავ ნ. ა. მაყაშვილის დაკრძალვა

გუშინ დაკრძალეს ცნობილი მფრინავი მაიორი ნ. მაყაშვილი, რომელიც აგვისტოს 11 ფრენის დროს ტრაღიკულად გარდაიცვალა. დაკრძალვას აუარებელი საზოგადოება დაესწრო. მცხედარი სამხედრო ტაძრიდან გამოასვენეს მთავრობისა და დამფუძნებელ კრების წევრებმა. კუბო შემკული იყო მრავალი გვირგვინებით. უკრავდა სამხედრო მუსიკა. სამხედრო ცერემონიალში მონაწილეობდენ არტილერია და სხვა სახედრო ნაწილები. დამსწრე საზოგადოებაში ქვითინი გაიპმოდა ყველა სახე დამწუხრებული შეყურებდა ძვირფას ცხედარს.

ჭეშმარიტად სამწუხარო მსხვერპლია. მფრინავ მაყაშვილის დაკარგა მეტად საგრძნობია ჩვენი რესპუბლიკისათვის, დღეს, როდესაც საძირკველი ეყრება ჩვენში ავიაციის საქმეს, ძალიან ბევრი სარგებლობის მოტანა შეეძლო გამოცდილ ავიატორ მაყაშვილს, მაგრამ ვაი, რომ აღარ დასცალდა მას თავისუფალ სამშობლოს სამსახური. მაიორ მაყაშვილს და არც სხვა ამ უკანასკნელ დროს დაღუპულ მაყაშვილებს, რომლებმაც თავი შესწირეს ჩვენი რესპუბლიკის კეთილდღეობას. არასოდეს არ დაივიწყებს ქართველი ერი, მათ სამუდამო ძეგლი აიგეს ერის გულში.

# ერობა

**შორაპნის სამაზრო ერობა.**

ჩვენს თანამშრომელს საუბარი ქონდა შორაპნის სამაზრო ერობის თავმჯდომარე ბ. კ. ბუაჩიძესთან, რომელმაც ჩვენი თანამშრომლის შეკითხვებზე შემდეგი განაცხადა შორაპნის სამაზრო ერობის დღევანდელი მდგომარეობის შესახებ: მაზრაში ბევრი სოფლები დამშეულია, მაგრამ ერობა ყოველივე ზომებს იღებს სოფლების დასახმარებლად. წელს მოსავალს კარგი პირი უჩანს; იმ თანხით, რომელიც გადადო მთავრობამ დამშეულ სოფლებაა დასახმარებლად ერობა ფიქრობს შეიძინოს მომავალ მოსავლიდან სიმინდი, რათა მომავალში მაინც უზრუნველყოს მცხოვრებლები სიმშილისაგან. ერობა დიდ ყურადღებას აქცევს სწავლა-განათლების საქმეს, სკოლების რიცხვი დღითი-დღე იზრდება მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ არ მოგვეპოვება გამოცდილ მასწავლებელთა საჭირო კადრი, ამისათვის იძულებული ვართ სკოლები ჩავაბაროთ გამოუცდელ მასწავლებლებს; მომავალ სამოსწავლო წლიდან ერობამ დაადგინა გახსნას ქალ. ზესტაფონში სამოსწავლო სემენარია, მაგრამ საქმეს აფერხებს ის გარემოება, რომ ვერსად ვერ გამოვძებნეთ ჯერ სემენარიისათვის საჭირო მასწავლებელთა რიცხვი, ამისათვის იძულებული ვართ, სემენარია ჯერ-ჯერობით მოვათავსოთ ადგილობრივ გიმნაზიასთან, სემენარიას ხელმძღვანელობას გაუწევს გიმნაზიის დირექტორი.

ამ უკანასკნელ ხანებში მართალია გახშირდა ყაჩაღობა ქურდ-ბაცაცობა მაგრამ მათ წინააღმდეგ მიღებულია სასტიკი ზომები, რამოდენიმე თვალსაჩინო ყაჩაღს კიდევაც მოუღეთ ბოლო. თანამშრომლის შეკითხვაზე მართალია თუ არ სოფლებში გავრცელებული ხმები, ვითომ ერობას გადაწყვეტილი ქონდეს მომავალ ღვინის მოსავლის მეათედი ნაწილის აკრება, ერობის თავმჯდომარემ ეს ხმები კატეგორიულად უარყო, და თან დასძინა, რომ სოფლად დაძრწიან არა საიმედო პირნი, რომლებიც ავრცელებენ სხვა და სხვა ამ გვარ ჭორებს ხალხში და ხალხს გულს უტეხენო.

გზების შეკეთებას ყველა სოფლებში შეუდექით. გზებს ხალისიანად აკეთებს თვითონ სოფლელები; ზოგიერთ სოფლებში დღეს იმდენათ შეკეთებულია გზები, რომ ეტლით მგზავრობაც კი შეიძლებაო. დასასრულ ბ-მა ბუაჩიძემ აღნიშნა, რომ, მომავალში ერობას ბევრი საყურადღებო გეგმები აქვს დასახული მაზრის საქმეების მოსაწესრიგებლადო.

**სიღნაღის ერობაში.**

სამაზრო ერობის ხმოსანთა ყრილობამ დაადგინა ჩამოერთვას სამაზრო ერობის საჭიროებისათვის.

1) ერთ სართულიანი ქვითკირის სახლი ეზოთურთ რვა ოთახისაგან შემდგარი, რომელიც მდებარეობს სოფელ ქვამაჩხაანში და ირიცხება დავით ილიას ძე ჯავაშვილის და თამარ ივანეს ასულის გომელაურის სახელობაზედ, რომელიც შეფასებულია ათი ათას მანეთად (10,000 მ.).

2) სოფელ ველისციხეში მცხოვრებ ივანე ალექსანდრეს ძე ჯანდიერის ორ სართულიანი ქვითკირის სახლი 630 კვ. ს., ეზოთი, რომელიც შესდგება შვიდი ოთახისაგან, ერთი თვალი ქვითკირის სადუქნისაგან, ერთ თვალ ფიცრული სადუქნისაგან, ერთ ჩარდახისაგან, შეფასებულია განსაკუთრებულია კომისიის მიერ ორმოცდახუთმეტი ათას მანეთად (55000 მ.).

თემთა საჭიროებისათვის, 3) სოფ. გურჯაანში მცხოვრებ გარდაცვალებულ სვიმონ ანდრონიკაშვილის ორ სართულიან ქვითკირის სახლი ამავე სოფელში, რომელიც შეიცავს ათ ოთახს თავისი კარმიდამოთი, სივრცით ერთი დესეტინა ცარიელი მამულით და ერთი დესეტინა ვენახით, რომელიც სულ მთლად, განსაკუთრებული კომისიის მიერ. შეფასებულია ხუთასი ათასი მანეთად (500,000 მან.).

4) ტიბაანის თემის საჭიროებისათვის ამავე თემის მცხოვრებ ნიკოლოზ სომხიშვილის ამავე სოფელში მდებარე ორ სართულიანი ქვითკირის სახლი, რომელიც შეიცავს ხუთ ოთახს თავის ეზოთი სივრცით 599 კვ. საჟ. შეფასებულია ორმოც ათას მანეთად (40,000 მან.).

5) ამავე თემის საჭიროებისათვის ამავე სოფელში მდებარე ვინმე გამრეკელის ორ სართულიანი ქვითკირის სახლი, რომელიც შეიცავს სამს ოთახს მასთან მდებარე ორი დესეტინა ცარიელი მამულით და შეფასებულია ათი ათას მანეთად (10,000 მ.).

6) ამავე თემის საჭიროებისათვის ამავე სოფელში მდებარე ილია (ილიკო) ნატროშვილის ორ სართულიანი ქვითკირის სახლი, რომელიც შესდგება სამი ოთახისაგან ეზოთურთ, შეფასებულია ათი ათას მანეთად (10,000 მან.).

7) კაკაბეთის თემის საჭიროებისათვის ამავე თემის სოფ. ყანდაურის მცხოვრებ ილია ჯავახიშვილის სოფ. ახალ-დმიტრიევკაში (ამავე თემში) ორ სართულიანი ქვითკირის სახლი, რომელიც შესდგება ოთხი ოთახისაგან ეზოთურთ, რომლის სივრცე უდრის ¼ დესეტინა ცარიელი მამულისას, შეფასებულია განსაკუთრებულ კომისიის მიერ ასი ათას მანეთად (100,000 მან.).

8) კარდენახის თემის საჭიროებისათვის მოქალაქე კონსტანტინე ნიკოლოზის ძე აფხაზის საკუთარი მამული განცალკევებით მდებარე, კარდენახის საგარაკოში ზომით სამი დესეტინა და 1690 კვ. საჟ. რომელიც მდებარეობს ამავე სოფელში და შეიცავს ოთხი ოთახისაგან შემდგარ ხის შენობას და შეფასებულია ას სამოცი ათას მანეთად (160,000 მან.).

9) ველისციხის თემის საჭიროებისათვის სოფელ ველისციხეში მცხოვრებ ეფრემ ალას ძე ისაკოვის სოფ. ველისციხეშივე მდებარე მისი სამ სართულიანი ქვითკირის შენობა, რომელიც შეიცავს რვა ოთახს ეზოთი, შეფასებულია განსაკუთრებული კომისიის მიერ ასი ათას მანეთად (100,000 მან.).

ზემოთ აღნიშნული დადგენილების შესახებ ერობამ მოხსენება გაუგზავნა შინ. საქ. სამინისტროს, რათა დამტკიცებულ იქნას სახლების ჩამორთმევის შესახებ დადგენილება რადგანაც ამას მოითხოვს ერობის ინტერესები.

**ტფილისის სამაზრო ერობაში.**

**ნოე ჟორდანიას ბიუსტი.**

ერობამ დაადგინა შეიძინოს მოქანდაკე ი. ნიკოლაძესგან ნოე ჟორდანიას ბიუსტი. ბიუსტი დაიდგმება ერობის დარბაზში.

**დილმის არხი.**

დილმის არხის გამოყვანის გამო სამაზრო ერობამ შუამდგომლობა აღძრა მიწად-მოქმედების სამინისტროს წინაშე რომ დილმის რაიონში მდებარე საფონდო მიწები გადასცეს მაზრის ერობას. ამას გარდა გამგეობამ დაადგინა, ეთხოვოს მთავრობას რომ საფონდო მამულების რეალიზაციით შემოსავლელი ფულიდან ერობას მისცეს სესხად 20 მილიონი მანეთი.

**ხალხის კოოპერაციო ბანკი.**

გამგეობამ ხალხის კოოპერაციო ბანკის სადა-გილ მამული განუყოფელის განკარგულება-ში გადასცა 50,000 მანეთი.

**ახალქალაქში ვორონცოვის უძრავ ქონე-ბის შეძენა**

გამგეობის დადგენილებით ახალქალაქში მცხოვრებ ვორონცოვის უძრავი ქონება: სახლი და წისქვილი შეძენილ იქნება მაზრის ერო-ბის საჭიროებისათვის.

**კრედიტი ასურეთის თემს.**

ერობამ ასურეთის თემს გაუხსნა 70,000 მანეთის კრედიტი.

**ერობათა კავშირში.**

ტფილისის მაზრულმა ერობათა კავშირის კომიტეტის მიერ გაგზავნილი კომისია, რო-მელსაც დავალებული ჰქონდა თელავის, სიღ-ნაღის, თიანეთის და დუშეთის მაზრებში სეიროზო ცხოვრების გამორკვევა. ეს კომი-სია ამ დღეებში მიემგზავრება ასეთივე საქმე-შეასათვის გორის, ახალციხის და ახალ-ქალაქის მაზრებში.

## დაეხმარეთ სახალხო უნივერსიტეტს

სახალხო უნივერსიტეტის გამგეობამ ტფი-ლისში გამართა სახალხო უნივერსიტეტის დღეები.

ის ქვეყანა, სადაც მასიური განათლება მკვიდრ ნიადაგზეა დაყენებული პროგრესის-კენ შეუფერხებლად მიდის წინ. კულტურა მაღლდება და მასთან ერთად ერის ძლიერე-ბა ერთი ორად ორკეცდება.

ჩვენი ნორჩი რესპუბლიკის ინტერესები მო-ითხოვს განათლებას, შეგნებას.

ფუჭი ყოველივე ადამიანისთვის, თუ მას თან არ ახლავს განათლება, კულტურა. დღე-ვანდელმა კულტურამ დაანგრია ძველი დახა-ვსებული წესწყობილება, რომ არ ჰქონდა ადამიანის მისწრაფება უკეთეს მერმისისაკენ, სურვილი, რომ თავისი ცხოვრება უკეთ მო-წყოთ—მაშინ ხომ ხელსაც არ გაანძრევდა ადამიანი და ძველი სულთამხუთავი, მომშხა-მული ატმოსფერა ისევ დარჩებოდა და მო-გვიწამლებდა ცხოვრებას. სწავლა-განათლებამ მიიყვანა ხალხი იმ უდიდეს განთიადის წი-ნაშე, სადაც კაცობრიობა სდგას ამ ჟა-მად. ბევრი ტკივილები და ვარამი გადიტანა ხალხმა და ჯერ კიდევ გაადაქვს, მაგრამ გვრწამს, რომ გამარჯვება აუცილებელია.

საქართველოს გამარჯვება სწავლა-განათ-ლებაშია. ჩვენი ბედი ჩვენ ხელთ არის. შევი-ტანოთ ხალხში მეცნიერება, მივსცეთ ყველას საშუალება, რომ შეიძინოს სწავლა-განათლე-ბა და მაშინ ჩვენი ცხოვრება წინ წაიწევს—განმტკიცდება ჩვენი თავისუფლებაც და და-მოკიდებულებაც.

სახალხო უნივერსიტეტი დიდ როლს ითა-მაშებს ჩვენს ცხოვრებაში თუ მას რიგიანად ხელი შეუწყვეთ და დავეხმარეთ. სახალხო უნივერსიტეტი გააფართოებს თავის ასპარეზს, მაგრამ ამ გაფართოებას, როგორც ყოველ საქმეს სჭირია მოვლა-პატრონობა. და ეს პა-ტრონობა უნდა იკისროს მთელმა ხალხმა. სახალხო უნივერსიტეტის უპირველეს საჭი-როებას შეადგენს ფინანსიური მხარე. დღეს სწორედ ამ მიზნით იმართება სახალხო უნი-ვერსიტეტის დღეები. ყოველი შეგნებული მოქალაქე მოვალეა დაეხმაროს ამ ფრიად დიდ კულტურულ დაწესებულებას და თავისი წვლილით მისცეს საშუალება ხალხის საბედ-ნიეროდ მკვიდრ საფუძველზე ააშენოს თავისი საქმე და ამით განახორციელოს თავისი მი-ზანი და მისწრაფება.

მაშ დაეხმარეთ, სახალხო უნივერსიტეტს!

ზ. ვ.

## განცხადებანი

დაიკარგა პირადობის მოწმობა № 407 4 კომისარიატის უმცროსი მილიციონერის ვა-ლოდია რაჟდენის ძე მიქელაძის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმარ-თველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს.

2230 3—2

დაიკარგა პასპორტი ოგანეზ სარქისის ძე ბანდოიანცის სახელზე, მიღებული ტფ, ქალა-ქის მილიციის სამმართველოდან. გაუქმებუ-ლად ჩაითვალოს. 2231 3—2

დაიკარგა ზედნადები № 1090 და 1091 ბაქო-ნავთლუღი. მიხეილ ნაზაროვის სახელ-ზე, გაუქმებულად ჩაითვალოს.

2224 3—2

დაიკარგა პასპორტი № 11314, მიღებული ტფ. პოლიცმეისტრის სამმართველოდან და პირადობის მოწმობა № 30242, მიღებული ტფ. დეპოდან ივანე ზაქარიას ძე იაკობიძის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს.

2220 3—3

ქ. ტფილისის 2 უბნის მომრიგებელი მოსა-მართლე იწვევს მემკვიდრეებს გარდაცვალე-ბული მ კარ ეგორის ძის ჩიმიშკიანცის მიერ დატოვებულ ქონებაზე. რათა მათ განაცხა-დონ თავიანთი უფლება 1231 მუხლში X ტომ. ნაწ. 1 სა აღნიშნულ ვადაში.

2228 1—1

ქვემო ჭალის უბნის მომრიგებელი მოსამა-რთლე იწვევს მემკვიდრეებს გარდაცვალებულ მარიამ ივანეს ასული გამდელაშვილისას (გამ-დლიშვილი) რათა მათ განაცხადონ თავიან-თი უფლება გარდაცვალებულის ქონებაზე იმ ვადაში, რომელიც აღნიშნულია მე-1241 მუ-ხლში მეათე ტ. 1 ნაწ. ს. კ. 2225 1—1

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან თავისუფლ-ების მოწმობა, მიღებული გორის სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან, პასპორტი კავთის ხევის კომისრისაგან ს. დ. პარტიის წევრობ-ის ბარათი და იარაღის ნებართვა მიხეილ სოლომონის ძე ჯანჯოლაშვილის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს. 2214 3—3

დაიკარგა პასპორტი, მიღებული ახალ ქა-ლაქის კომისრისაგან. რკინის გზის წლიური ბილეთი სურათით გიგო ალექსის ძე ალიმბა-რაშვილის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვა-ლოს. 22ɪ5 3—3

დაიკარგა მეტრიკული მოწმობა № 1973 სტეფანე ზურაბის ძე მურადოვის სახელზე მიღებული სომხების კონსისტორიიდან. გაუ-ქმებულად ჩაითვალოს. 2217 3—3

დაიკარგა სამხედრო ბეგარსთან დამოკიდე-ბულების მოწმობა, ნიკოლოზ იოსების ძე ასლანოვის სახელზე, მიღებული ტფ. სამხედ-რო აღრიცხვის უფროსისაგან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2190 3—3

დაიკარგა საბინაო დავთარი ტრიდოტოვის შესახვევში № 14 მდებარე სახლის, რომელიც ეკუთვნის სარქის შიხიანცს, გაუქმებულად ჩაითვალოს. . 2191 3—3

დაიკარგა პირადობის და იარაღის ტარებ-ის მოწმობა № 404, ალექსანდრე პეტრეს ძე ზარქუას სახელზე, მიღებული საპყრობილეთა მახლებელ რაზმის უფროსისაგან. გაუქმებუ-ლად ჩაითვალოს. 2244 3—2

დაიკარგა ტრამვაიზე უფასოთ მგზავრობის ბარათი, სარეგისტრაციო ბარათი, მიღებული ტფ. სამხედრო აღრიცხვის უფროსისაგან გრიგოლ ალექსანდრეს ძე ქიტესოვის სახელ-ზე. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2219 3—3

დაიკარგა მეეტლეობის მოწმობა დიჟიმ-ბიდ ალი მამედ ოღლის სახელზე, მიღებული ტფ. მილიციის უფროსის სამმართველოდან. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2211 3—3

დაიკარგა მოწმობა № 128 ალექსანდრა უსოვას სახელზე, მიღებული ტფ. მეოთხე ქა-ლთა გიმნაზიიდან 1920 წ. მარტის 17-ს, გაუქმებულად ჩაითვალოს. 2221 3—3

დაიკარგა ნასყიდობის სიგელი, ალექსი ნიკოლოზის ძე ფარსადანოვის სახელზე, შე-დგენილი ტფ. ოლქის სასამართლოს უფრო-სი ნოტარიუსისაგან 1907 წ. რეესტრით № 359. გაუქმებულად ჩაითვალოს.

22222 3—3

დაიკარგა სამხედრო სამსახურიდან განთა-ვისუფლების მოწმობა, მიღებული სამხედრო სკოლის უფროსისაგან და პასპორტი, მიღე-ბული ს. ციხის (რაჭის მაზრა) საზოგ. კომი-სრისაგან ალექსანდრე აპრიდონის ძე ვაშა-ძის სახელზე. გაუქმებულად ჩაითვალოს.

2213 3—3

დაიკარგა 1) საზღვარ გარეთელი პასპორტი № 137 მორდუხ ლეიბის ძე პომერიანცის სა-ხელზე, და 2) საზღვარ გარეთელი პასპორტი № 1372 სოფია იზრაილის ასული პომერიან-ცის სახელზე, მიღებული ბათუმის მილიციის უფროსის სამმართველოდან 1919 წ. გაუქმე-ბულად ჩაითვალოს. 2212 3—3

დაიკარგა ვადიანი პასპორტი, მიღებული რასტოვის მილიციიდან არტემ ახპატელოვის სახელზე, გაუქმებულად ჩაითვალოს.

2264 3—1

ქვემო ჭალის უბნის მომრიგებელი მოსამა-რთლე იწვევს მემკვიდრეებს გარდაცვალებუ-ლი ესტატე გაბრიელის ძე დვალიშვილისა რათა მათ განაცხადონ თავიანთი უფლება გარდაცვალებულის ქონებაზე იმ ვადაში. რო-მელიც აღნიშნულია მე-1241 მუხლში. მე-ათე ტ. ს. ს. 2226 1—1

დაიკარგა პასპორტი ელენე ივანეს ასული გრიბენკოვას სახელზე, მიღებული რუსების ნაციონალური საბჭოდან ტფილისში 1920 წ. გაუქმებულად ჩაითვალოს. 2248 3—1

დაიკარგა საოჯახო პასპორტი და პირადო-ბის მოწმობა № 3162 სერგეი პეტრეს ძე და მარია გუსტოვის ასული ბატურინების სახელ-ზე, მიღებული ნალჩიკში. გაუქმებულად ჩაი-თვალოს. 2249 3—1

დაიკარგა სამხედრო ბეგრიდან თავისუფლ-ების ნუსხა № 7, ილია გიორგის ძე ღვალა-ძის სახელზე, მიღებული შორაპნის მაზრის სამხედრო აღრიცხვის უფროსისგან. გაუქმებ-ულად ჩაითვალოს. 2250 3—1

დაიკარგა დროებითი მოწმობა № 3668 ალექსანდრე ივანეს ძე და მართა იპატის ას-ული ბიკოვების სახელზე, მიღებული კავკავის მილიციის უფროსისგან 1920 წ. გაუქმებუ-ლად ჩაითვალოს. 2253 3—1

დაიკარგა ჯარის წერის მოწმობა, მიღე-ბული ქუთაისის სამხედრო ტაძრის მოძღვრი-დან, პირადობის მოწმობა, მიღებული მერე-ვის თემიდან ლეონინა სპირიდონის ძე სამხა-რაძის სახელზე დამომოწმებული სურათი ონ-იფონტე სამხარაძის. 2255 3—1

ტფილისის ნოტარიუსი სტრახოვი აცხად-ებს, რომ 29 ივლისს 1920 წელს მის კანტო-რაში შესრულებულ იქნა ნასყიდობის აქტი «ავჭალის შუშის ქარხნის» ამხანაგობის მიერ, რომელსაც შეადგენენ სრული ამხანაგნი: ხო-რენი დავითის ძე მირიმანოვი, გრიგორი ლეონტის ძე პრესმანი და სოლომონი გდა-ლის ძე ბელსკი, რაითაც საქართველოს რეს-პუბლიკის ქალაქთა კავშირმა და საქართველ-ოს ცენტრალურმა კოოპერატივთა კავშირმა შეიძინა ამხანაგობის კუთვნილი შუშის ქარხ-ანა ზემო-ავჭალაში, ამ ჟამად აქ მომქმედი ყოველი შემადგენლობით, ინვენტარით, შემ-უშავებულ და შეუმუშავებულ მასალით და აგ-რეთვე მიწა-შენობებით, საცა აგებულია ქარ-ხანა- (კანონი 3 ივლისს 1916 წ.)

2259 1—1

დაიკარგა პასპორტი, მიღებული ბორის (რაჭის მაზრა) საზოგადოებიდან, მეტრიკული ამონაწერი, მიღებული ს. მრავალძლის ეკლე-სიიდან და სამსახურის მოწმობა, მიღებული ტფილ. მთავარ პურის საცხობიდან. სიმონ იოსების ძე სხირტლაძის სახელზე, გაუქმებუ-ლად ჩაითვალოი. 2247 3—1

ქ. ტფილისის მე-17 სამომრიგებლო უბნის მომრიგებელი მოსამართლე, პელაგია თალხა-ნის ასულ გეგეშიძის ძიების გამო 9050 მ. სტეფანე დესტოვის მიმართ იწვევს უკანასკ-ნელს, რათა გამოცხადდეს იგი კამერაში მო-სამართლისა (ტურგენიევის ქ. № 4) 1920 წ. 4 სექტემბერის პასუხის გაცემით.

2257 1—1

დაიკარგა სამხედრო სამსახურიდან თავის-უფლების მოწმობა, მიღებული კიევის სამხე-დრო საავადმყოფოდან 1906 წ. ყვირილის ნორმალური სასწავლებლის დამთავრების მო-წმობა პირი, უვადო პასპორტი № 1092, მი-ღებული ჯევათის მაზრის უფროსისაგან 1908 წ. და ამიერ კავკასიის რკ. გზაზე ნამსახურ-ობის ატესტატი-უფროსი ტელეგრაფისტი ილია გიორგის ძე კაპანაძის სახელზე, გაუქმე-ბულად ჩაითვალოს. 2270 3—1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ 8 ივნისის 1920 წ. ქ. სოხუმის სიმტკიცის საქმეთა ნუსხაში 25 ნაწილში, № 1154, 34 გვერდზე აღნიშნულია შესრულებული სოხუმის ნოტარ-იუს ზატვორნიცკის მიერ 5 კვირიკობისთვეს 1920 წ. № 14, სიმტკიცის მოწმობა, რომ-ლითაც ქ. სოხუმის მცხოვრ. ანტონ გვარიას ძე დავითიამ შეიძინა საჯარო ვაჭრობით უძ-რავი მამული, სოხუმისა, მდებარე ქ. სოხუმ-ში, ვენეციანის გზატკეცილზე, უბ. ლიტ- „Г“ და რომელიც შეადგენს ერთი მიწის ნაჭერს № 47, ზომით 134,60 ოთხკუთხ. საჟ. შენო-ბებითურთ და ნახევარი მიწის ნაჭერისა № 46, ზომით 68,85 ოთხკუთხ. საჟ. ფასი 889 მან. 70 კაპ. 814 1—1

სოხუმის ოლქის სასამართლოს უფროსი ნოტარიუსი აცხადებს, რომ ივლისის 7-ს 1920 წ. სიმტკიცის საქმეთა ნუსხაში ქ. სო-ხუმისა 25 ნაწილში, № 1153, 31 გვერდზე აღნიშნულია შესრულებული სოხუმის ნოტა-რიუსის ზატვორნიცკის მიერ სიმტკიცის მო-წმობა, რომლითაც ქ. სოხუმის მცხოვრ. მიხ-ეილ ევგენის ძე და ვალენტინა გიორგის ას-ულმა იაშნიკოვებმა შეიძინეს საჯარო ვაჭრ-ობით უძრავი მამული. კუთვნილი ქ. სოხუმ-ისა მდებარე ქ. სოხუმში პოლიციის ქუჩის ბაგრატიონის პროსპექტის კუთხეში, უბ. 7- და რომელიც შეადგენს მიწის ნაჭერს № 7-ით, ზომით 170,04 ოთხკუთხ. საჟ. შენობებ-ითურთ. 813 1—1

იარლიკები, ბაქოს საბაჟოს კვიტანციები და ზედნადებები (накладныхъ) დუბლიკატები №№ 087423, 087431, 087448, 087498, 087507 და 087528 ნავთ სადენით გადაგზავ-ნილ ნავთისა ბაქო ტრანზიტი ბათუმი, სავა-ჭრო სახლის ს. მ. შრირო და ს. ი. ზუსმა-ნის სახელზე წაღებული ძმ. ზეინალოვის კან-ტორის მიერ და მიუხედავათ ნოტარიალური განცხადებისა ა. წ. 5 აგვისტოდან-ჯერაც არ დაუბრუნებიათ. გაუქმებულად ჩაითვალოს. რწმუნებული ს./ს. ს. მ. შრირო და ს. ი. ზუსმანის ედელსონი. 2280 3—1

## სავალდებულო დადგენილება

**ქალაქში მოხეტიალე პირუტყვთა და ფრინველთა წინააღმდეგ მიღებული სამ-ტრედიის ქ. საბჭოს მიერ ივლისის 28-ს 1920 წ. სხდ. № 13. მუხ. 7.**

1) სამტრედიის ფარგლებში მცხოვრებთ აეკრძალოს სახეტიალოდ გამოუშვან ძაღლები, ღორები და სხვა პირუტყვები და ფრინველები გზებზე ან ქუჩებზე, მოედნებზე და ბაღებში-წინააღმდეგ შემთხვევაში ასეთი პირუტყვები და ფრინველები დაჭერილნი იქნებიან მოქა-ლაქეებისა და ქალაქის გამგეობის მუშებისაგან და დამწყვდეულნი ქალაქის ქალთაში.

2) დამრღვევნი ამა სავალდებულო დადგენილებისა ყოველ თითეულ შემთხვევაში იქნე-ბიან დასჯილნი თანახმად მე-29 სტ. სასჯელთა დებულებისა, რომელსაც ადებს მომრიგე-ბელი მოსამართლე.

**შენიშვნა:** ა) დამნაშავეებს გადახდება მავნებლობა და ზარალი ამ წესის დარღვევის გამო გამოწვეული: ბ) გარდა მავნებლობის და ზარალის ანაზღაურებისა დამნაშავეს გადახ-დება: დღით დაჭერისათვის პირუტყვზე მსხვილზე თუ წვრილზე 50 მან., ფრინველზე 10 მან., ღამით დაჭერისათვის პირუტყვზე მსხვილზე და წვრილზე 100 მან. ხოლო ფრინველზე 20 მან. შენახვისათვის (რჩენისათვის) და მოვლისათვის დღეში 70 მან. პირუტყვზე და ფრინველზე კი 20 მან. დახსნისას.

3) ყველა დაჭერილ პირუტყვს და ფრინველს შეებმეს ნომერი და ამ ნომრით შეტა-ნილი იქნას სიაში, სადაც მოხსენდეს თვე და რიცხვი მისი დაჭერისა. დაჭერისთანავე უნ-და გამოეკრეს განცხადება ქალაქის მილიციის კანცელარიასთან და ჭიშკარზე იმ ეზოისა, სადაც პირუტყვნი არიან დაჭერილნი.

4) თუ დაჭერილ პირუტყვს ან ფრინველს 7 დღის განმავლობაში პატრონი არ დაიხ-სნის ან პატრონი არ აღმოჩნდება, იმ შემთხვევაში მე-8 დღეს ასეთი პირუტყვნი ან ფრინ-ველნი გადაირიცხოს საჯარო გასასყიდლად ქალაქის სასარგებლოდ. და გაიყიდოს საზოგა-დო წესით, როგორც უპატრონო პირუტყვნი და ფრინველნი.

5) ძაღლები, რომელნიც ქალაქის ცენტრალურ უბანში გამოდიან პირ აუკვრელნი უნომროთ დახოცილნი იქნან და მათ პატრონებს გადახდეს მავნებლობა და ზარალი, რაიც იქნება გამოწვეული ამ დადგენილების დარღვევით. აგრეთვე მიეცნენ პასუხის გებაში მე-29 მუხ. ძალით სასჯელთა დებულებისა, რომელსაც ადებს მომრიგებელი მოსამართლე.

**შენიშვნა:** ყელზე შესაბამი ძაღლებისათვის შეიძინონ ქალაქის გამგეობაში, რისთვისაც გადახდეს ხუთი თუმანი. ამ დადგენილების სისრულეში მოყვანა ევალება სავაჭრო და ქა-ლაქის მილიციას.

825 3—2 **სამტრედიის ქალაქის გამგეობა.**

სახელმწიფო სტამბა.

რედაქტორის მოვალ. ასრ. გრიგოლ მაჭავარიანი